საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 09 ივნისი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/24

,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 27 იანვრის აკადემიური საბჭოს № 04-01/85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლისა და ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 19/ნ ბრძანების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანამანათლებლო პრო-გრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 27 იანვრის აკადემიური საბჭოს № 04-01/85 დადგენილების მე-2 თავს დაემატოს მე-11 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამა-ზე (დრამისა და კინოს სამსახიობო) ქ. ფოთის მიზნობრივ ჯგუფში ჩარიცხვის შე-მთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით იმუშაოს ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში“.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**